საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) საჯარო ინფორმაციის შესახებ 2025 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით ანგარიშს:

საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ:

სამინისტროს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (დეს) მონაცემებით, საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ცენტრალურ აპარატში შემოსულია 118 განცხადება, აქედან პასუხი გაცემულია 74 განცხადებაზე, ხოლო 43 განცხადებაზე მიმდინარეობს საქმისწარმოება.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნას და შესაბამისად მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს ადგილი არ ჰქონია.

მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ:

2018 წლის 19 მარტიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ხელშეკრულებების ექსპერტიზის სამმართველოს მესამე რანგის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გურამ სუხაშვილი (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/122; 19.03.2018 წ.).

მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ხელშეკრულებების ექსპერტიზის სამმართველოს მესამე რანგის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის გურამ სუხაშვილის მიერ.

უარის თქმის თაობაზე მიღებულია 1 გადაწყვეტილება.

საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ:

სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ფუნქციონირებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (დეს), რის შედეგადაც აღნიშნულ პროგრამაში მონაცემთა ბაზების შექმნა ხორციელდება ავტომატურ რეჟიმში.

სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის პროცესი მიმდინარეობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელების დადების შესახებ:

სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევა არ დაფიქსირებულა და შესაბამისად დისციპლინური სახდელები არ გამოყენებულა. აგრეთვე, სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს საჯარო მოსამსახურეთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ რეკომენდაცია არ გაუცია.

იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვისას:

უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და პერსონალურ „მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების თაობაზე:

საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გასაჩივრებულია 1 გადაწყვეტილება.

საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ:

ზემოაღნიშნულ ფაქტებს ადგილი არ ჰქონია.

Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia

Digitally signed by Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia
Date: 2025.12.10 19:14:22 +04'00'